სტამბა და რედაქცია: ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ელის-მომწერნი გაზეთის დაკარგვის
ად მიმართავენ რედაქციას დილი-
0 3 საათამდე და საღამოს 6—7
ან „წ.-კ. საზ." წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი: ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели" Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 339

**დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა" გამოვა ოთხშაბათს, 9 ივნისს.**

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ღირება 3 მან. 50 კაპ.

## წლიური საერთო კრება

რადგანაც 29 მაისს დანიშნული **საზოგადო კრება** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" წევრთა არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ იგი გადადებულ იქმნა 7 თიბათვისათვის. კრება მოხდება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დილის 10 საათზე და განსახილველნი იქნებიან შემდეგი საქმეები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წლის.
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.
3) საგარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შემოსავალ-გასავლისა 1898 წლისათვის.
4) მოხსენება განსვენებულის ალ. რონინაშვილის ნაანდერძევის შესახებ.
5) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.
6) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სამის კანდიდატისა.

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!

ახლად გახსნილი ქართველ მგზავრთათვის

მორთული ოთახები

„აბაშა"

ტფილისში მეორე მოლაკნის ქუჩაზე, მჭედლიძის სახლებში

!!მგზავრთა საყურადღებოდ!!

ეს მორთული ოთახები მართლაც და მომარჯვებულსა და მოხერხებულს ადგილას არის მგზავრებისათვის; ტფილისის ვოგზალის მახლობლად და სწორედ კარებზე უდგის ავჭალის კონკა.

ოთახები საგანგებოდ და საუცხოვოდ არის მორთული და თან სუფთა, წმინდა და სინათლიანი. მოსამსახურე თავაზიანი და მარდი.

ფასი სამაგალითოდ იაფია

50 კაპიკიდან 1 მან. 50 კაპიკ. დღეში თვეობით უფრო იაფი.

(10—1)

ამბულანტი და ამბულატორია

ს.ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

ამბულატორიაში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. ბ. თოფურია.** საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. მერაბი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი, საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისათვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია

*Лѣчебница С. В. Топурія* въ Кутаисѣ.

## ახალი ამბავი

— 

*** **მთავარ მართებლის გამგზავრება მადნის წყლებზე.** როგორც გაზეთები იუწყებიან მთავარ-მართებელი ამ თვის 15 გაემგზავრება საზაფხულოდ მადნის წყლებზე ესენტუკში და იქ დაჰყოფს აგვისტოს შუა რიცხვამდე.

*** **მთავარ-მართებლის ახალი უფლებანი.** როგორც გაზეთ „კავკაზი" იუწყება, ზედამხედველობა ამიერ კავკასიის ყველა ქალაქების თვით მმართველობებზე სანამ საქალაქო წესდება შეიცვლებოდესო, მინიჭებული აქვს მთავარ-მართებელს, რომელსაც მასთან დროებით მიენიჭა ახალი და ვრცელი უფლებანი.

*** **საჩივრის უყურადღებოდ დატოვება.** იმავე გაზეთის სიტყვით მთავარ-მართებლის ბრძანებით გადაყენებულ გამგეობის წევრთ ბ-ნ ივანენკოს და ეურმიშევს საჩივარი მიუციათ სენატში, რომელსაც თავის მხრივ ხსენებული საჩივარი უყურადღებოდ დაუტოვებია.

*** **გუბერნატორთა ბჭობა** ავაზაკების მოსასპობ ზომებთა განსახილველად ამ კვირიი დაიწყება გუბერნატორთა კრება მთავარ-მმართებლის სასახლეში. ამ კრებაში სხვათაშორის განიხილავენ იმასაც თუ როგორ უნდა მოეწყოს საერო დარაჯების გაწეს-რიგება.

*** **სწავლა-დამთავრებული ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში.** წელს სწავლა დაამთავრა ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში სულ 24 მოწაფემ, მათ შორის: 7 რუსია, 7 სომეხი, 10 ქართველი; სახელდობრ: ლადო ჯოხაძემ, მიხ. დევიძემ, სვ. ჯიღაურმა, ერეკ. კერესელიძემ, ივ. ესტატე მენთეშაშვილმა, ალ. ნინუამ, ალ. თოხაძემ, შიოლაშვილმა, იას. შარაბიძემ დ. ჯოშვილმა.

*** **მეფე ვახტანგის დროშა და მუზარადი.** „როგორც სამმართველო უწყება" ამბობს შტალმეისტერს თავ. ა. გ. გოლიცინს შეუწირავს მოსკოვის მთავარ არხივისათვის საქართველოს მეფე ვახტანგის დროშა და მუზარადი, რისთვისაც ხელმწიფე იმპერატორისაგან მადლობა მიუღია.

*** თავ. გ. დ. შარვაშიძე ჩამობრძანებულა გუშინ წინ პეტერბურგიდან ტფილისს.

ამ დღეებშივე ჩამოსულა პეტერბურგიდან სომხურ ენის პროფესორი ნ. მარრი.

*** **ცხენის რკინის გზის საქმე ტფილისში.** როგორც ქალაქში ხმა დადის ტფილისის ტრამვაის საქმე მალე დაბოლოვდებაო. საჯაროდ გამოწვეულ იქმნებიან მოიჯარადრენი და ვინც უკეთესს პირობას მისცემს ქალაქს იმას გადაეცემა ტრამვაის დირექტორობის საქმე.

*** **საშინელი სეტყვა.** ჩვენ გვატყობინებენ, რომ 2 ივნისს გომის სტანციიდან მოყოლებული ორი საზოგადოების, ატოცისა და ოქონისა 17 სოფელი საშინელი სიმკაცრით დაუსეტყვამს, არაფერი არ დაუნარჩუნებია სეტყვას არც პურნახული და არც ხეხილი, სულ ერთიანად გაუნადგურებია და მერე საშინელს ნიაღვარს წაულეკავს. 17 სოფლის გლეხკაცობა და თავად-აზნაურობა უკიდურეს მდგომარეობაში თურმე ჩავარდნილა და მათი გამობრუნება მარტო მთავრობას-ღა შეუძლიანო.

წერა-კითხ. საზოგ. კრება. რადგანაც 29 მაისს დანიშნული საზოგადო კრება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ იგი გადადებულ იქმნა 7 თიბათვისთვის. კრება მოხდება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დილის 10 საათზედ განსახილველია შემდეგი საქმეები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შესავალ-გასავლისა 1899 წლისათვის.

4, მოხსენება განსვენებულის ალ. რონინაშვილის ნაანდერძევის შესახებ.

5, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6, არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სამის კანდიდატისა.

** ნაძალადევი და უწეს-რიგობა მასში. არა უცნობელ ბრძანდებიან ბ. გ. მკითხველები, რომ არა ერთგზის იყო დაწერილი სხვა და სხვა გაზეთებში, თუ რანაირ ტანჯვა-მწუხარებაში არიან აქაური მცხოვრებლები; ღამის დარაჯთა უყოლობით, გზების უვარგისობით და ქუჩების გაუნათებლობით, მაგრამ მაინც არ დაგვადგა საშუალი და ვერ მოიცალა ვერც მართებლობამ და ვერც ქალაქის გამგეობამ ჩვენთვის ყურადღების მოსაქცევად. „ფარნები“ ჯერ არ არის საკმარისად ქუჩებზე; და მერე რაც არის არც ისინი არის სანახევროდ ანთებული, „ყარაულები“ ვინ მოსწრებია და ან უნახავს საღამოს ცხრა საათის შემდეგ გავლილი ამ ქუჩაზე, სადაც ისეთი თვე არ გაივლის, რომ თხუთმეტი ოჯახი არ გაქურდონ, ხუთი ექვსი ვინმე არ გაძარცვონ გზაზე ქურდბაცაცებმა და ან სასიკვდილოდ არ გალახონ ვინმე სულ უბრალოდ თავგასულ ვაჟ-ბატონებმა, მაგრამ თუგინდ რომ მთელი ღამე იყვიროს საწყალმა ზნე გარყვნილი და თავგასული პირების მიერ შეურაცხყოფილმა და გაძარცულმა პირმა „ყარაულებო, მიშველეთ მომეხმარეთ ვინხართ კაცი ქრისტიანიო“ მიმშველებელი მაინც არავინ არ აუჩნდება. გზები ისეთ მდგომარეობაში არის, რომ, ნურა მიყრუებულ სოფელშიაც ნუ ქნას ღმერთმა ესრეთი გზა როგორიც აქ არის. რა უნდა ქნას გაჭირებამ და სამსახურის ვალდებულობამ თორე არა თუ წვიმიან ღამეში, კარგი მშრალობის დროზედაც არ შეუძლიან გაიაროს ზედ უმარცხოთ უმთვარო ღამეში კაცმა. სხვა უსწორ-მასწორობის და ტალახის გარდა მახლობლად ეკლესიისა არის ერთი პატარა ნაჭაურივით ჩავარდნილი ადგილი შუაგულ გზაში, სადაც გზას ორ საჟენ ნახევრის მეტი განი არა აქვს, ვინ დასთვლის რამდენ გზის ჩავარდნილა შიგ კაცი და ცხვირ პირი დაუმტვრევია. წარსულს მაისის 31 ღამის ათ საათზე მიდიოდა სამსახურში ერთი რკინის გზის მოსამსახურე „კანდუკტორი“, რომელსაც მის და საუბედუროდ თავისი ხელში დასაჭერი ფარანი შემთხვევით ამავე თბილისის რკინის გზის სადგურში ქონებოდა დატოვებული, გაჩქარებულად მიმავალი „კანდუკტორი“ ჩავარდა ზემო თქმულს ჩაღრმავებულს ადგილში, ორივე ხელები იტკინა, მარცხენა მუხლის თავი გაუსქდა და ტყავი ერთიანად გადასძვრა მუხლზე, რომელიც დადის ვაი-ვაგლახით როგორც იყო ნახევარ საათს შემდეგ ძლივს ამოპორტყდა ზევით, მაგრამ ისე გალახულიყო, რომ ლაპარაკიც ვერ შეეძლო. დიდი საჭიროა, რომ მაინც კეთილს ინებებდნენ და მიაქცევდნენ ყურადღებას ხალხის შეწუხებას ტანჯვას და უბედურობას ვისგანაც ჯერ არს, ამასთანავე ვსთხოვთ ბ. გაზეთ-რედაქტორებს, რომ როგორც ქართულში ეგრეთვე რუსულ გაზეთებშიაც გადაბეჭდონ ესეთი გაჭირვებული ცხოვრების ამბავი ნაძალადევის ქუჩ. მცხოვრებლებისა.

ლ. გუბელი,

** დავით გარეჯას მონასტერი და მასა დღეობა. ღირსი მამა დავით გარეჯელის მონასტერი გაშენებულია სადგურ ყარაიაზიდგან 30 ვერსის მანძილზე. აღმოსავლეთ სამხრეთით ამ ზემო აღნიშნულს ოცდა ათი ვერსის მოგზაურობაში ვერ ნახავს მოგზაური ვერც წყალს და ვერც ხეს, რომ მიიფაროს სიცხისაგან, მხოლოდ ერთოც ვერსს რომ გაივლით შენიშნავთ მშვენიერს და დიდად საყურადღებო მონასტერს ანუ უკეთ ვსთქვათ უდაბნოს. რომელიც ზემო ხსენებულ მონასტრის გზის პირას არის გაშენებული. ეს უდაბნოც სულ გამოკვეთილი კლდისაგან არის გაშენებული ეკლესიებით და მონაზონთა საცხოვრებელი სენაკებით. ამ მონასტერში არ არის ბუნებით მდინარე ანუ წყარო, მხოლოდ წვიმის წყალს ხმარობენ სასმელად, ამ მონასტერში შეუძლიან კაცმა მოიკლას წყურვილი დავითის უდაბნოში მიმავალმა, იქ მოსვენების შემდეგ იქიდგან ათი ვერსის მოგზაურობის შემდეგ მიადგებით გალავნით შემოზღუდვილს მონასტერს აი სწორედ ეს ბრძანდება ღირსი მამა დავით გარეჯელის მონასტერი ამ მონასტრის დღეობა, როგორც ვიცით ყოველ წელს ამაღლების სწორზედ მოდის, ამ მონასტერში განისვენებს ღირსი მამა დავით გარეჯელის გვამი, რომლისაგანაც მრავალი სასწაული ხდება. ეკლესიები ექვსია, სამში წირვა ლოცვა სრულდებოდა, სამში არა. ამ წელსაც იდღესასწაულეს ჩვეულებისამებრ. ამ მონასტრის წინამძღვარი ბრძანდება გორის ეპისკოპოსი ლეონიდე, და მობრძანდა დღესასწაულისათვის მათი მეუფება ორს თიბათვეს და შეუდგნენ დღესასწაულისთვის მომზადებას. საღამოს ორს თიბათვეს მოვიდა გიორგი ზალიკანოვი და რამოდენიმე მგალობელთაგანი ზალიკანოვის ლოტბარობით და ყოველი ეკლესიური წესი ქართულად აღასრულს მათმა მეუფებამ.

წელს მლოცველები ორმოცი კაცი იქნებოდა. წირვის აღსრულების შემდეგ გრძნობით სავსე სიტყვით მიმართა მათმა მეუფებამ მლოცველებს. დიდად ასიამოვნა მათი მეუფების ტკბილმა მოძღვრებამ ყველა მლოცველებს. გიორგი ზალიკანოვის მეთაურობით გაწყობილმა ტკბილმა ქართულმა გალობამაც ასიამოვნა ყველანი იმავე დღეს მათი მეუფება გადმობრძანდა იოანე ნათლის მცემლის უდაბნოში. სამწუხაროა, რომ ამ უდაბნოში ამ ჟამად ორი მღვდელ მონაზონი არის, და სამოდე მორჩილი, სადაც ორი საუკუნოს წინ ათასობით ცხოვრებდენ. იქიდგან მათი მეუფება. პარასკევს პირველ საათზე ლინეიკით გამოემგზავრა ს. ყარათაზე და იქიდგან ტფილისში

ეს ლინეიკა მათმა მეუფებამ გააკეთებინა და ამის შემდეგ აღარ გაუძნელდება კაცს მოგზაურობა, რადგანაც ლინეიკა კვირაში ორ სამ ჯერ იმოგზაურებს სდგურ.-ყარაიაზიდგან და თუ საჭირო იქნება მეტსაც.

მოდის დღესასწაული იოანე ნათლის მცემლისა ოცდა ოთხს.

მორჩილი

** ქუთაისი. 1 ივნისი. ბანკის არჩევნები. ბ. რედაქტორო! თქვენი წერილი მივიღე, რომლითაც მატყობინებთ, რომ ქუთაისიდან საყვედურებს მწერენო, „რატომ თქვენი კორესპონდენტი დ. ვერიცანიძე სულ ხუმრობის კილოთი იხსენიებს ჩვენ სერიოზულ საქმეებსო. ქალაქის საქმეები და ჩვენი ბანკის მდგომარეობა, მათი საქმეების გამგენი იმდენი ყურადღების ღირსნი არიან, რომ აბუჩით მათი აგდება არ ვარგა, იმათზე მასხარობა არ შეგშვენისო“..

გამიყარეთ კისერში დანა, ბ-ნო რედაქტორო, მაგრამ მაინც არ მივიღებ ამ საყვედურებს. განა შეიძლება სერიოზულად ლაპარაკი ქუთაისის საზოგადო საქმეებზე, რომელნიც სამასხაროდ და სასაცილოდ გახადეს ბბ. ჩიკვეიძიანთებმა, ლოლუამ, ნ. ერისთავმა... და „ტუტი კვანტიმ“.

ბ. კ. ჩიკვაიძე ცხრა წელიწადია მასხრობს ქუთაისის თავად-აზნაურობაზე, ცხრა წელიწადია მასხრობს ბანკში, სუდში, სახლში და გარეთ და მე არ უნდა მქონდეს ნება მაგ ხუმარა კაცზე ამ ცხრა წელიწადში ორი კვირა მაინც ვიხუმრო?! ეს ხომ უსამართლობა იქნებოდა, ბ. რედაქტორო, და ამისათვისაც გთხოვთ ამდენ ქუთაისის მასხრებზე ჩემს კილოს ნუ შემაცვლევინებთ

წრევანდელი ბანკის კრებაზე მათი პასუხები და სხვა თუ სასაცილოდ ასალები არ არის ამას თქვენ შემდეგისაგან დაინახავთ...

ექვსი წლის თავის მოქმედება ბანკის ასპარეზზე ამ სახუმარო დევგმირებმა კრებას მოახსენეს სულ შვიდნახევარ სტრიქონით: „ამ ხნის განმავლობაში ბანკმა მოიგო ამდენი, წააგო კიდევ მეტი ამდენი, ტფილისის ბანკმა წაგვართვა ამდენი, სიმინდის ფასმა დაიწია და ვერ მოვიგეთ ამდენი და გაათავეს!

თქვენა სთქვით ახლა მასხრობა არ არის ეს? განა ბანკის სათავეში მცოდნე და რიგიანი პირები ყოფილან ამ ექვსი წლის განმავლობაში? ან რა გამართლება, რა აზრი შემოიტანეს ამ მეთაურებმა ექვსი წლის სრულიად უნაყოფოდ ჩავლისა? ბ. კალისტრატემ სთქვა, რომ „აცენჩიკები“ არ მემორჩილებოდნენო? ნანიშვილი გაზეთებში სწერდა და დ. წულუკიძემ კი პირდაპირ მითხრაო: შენ ვინა გდიხარო, რომ გემორჩილოო, უკანონოთ ამორჩეულიო და სხ. და სხ. ვარდისანალური ლაპარაკი! განა მასხრობა არ არის ეს? რომელი ბანკის მმართველმა უნდა დაკარგოს ისე პატივდება, რომ სრულათ უღირსათ ჩაითვალოს თვით ბანკში მოსამსახურე პირთაგან, მხოლოდ იმ მმართველმა, რომელსაც არაფრის მმართვა არ შეუძლიან და შტუკ-მეისტრობით შესკუპებულა ამ ალაგზე!

ბ. ს. ნანეიშვილი თუ ჩვენ დამფასებლები რამდენათ ვმუშაობდით და რამდენათ არ ვუსმენდით ბ. კალისტრატეს ჩუმად ჩაჩურჩულებას ამას კრება დაინახავს ჩვენის ანგარიშიდან, რომელიც ყველას მოგხსენდებათ, მაგრამ თვით ბატონი ჩიკვაიძე როგორ ასრულებდა თავის ვალდებულებას ამაზე დაეკითხები ბ.ბ. დირექტორებს ნ. ერისთავს და ივ.იანს, სთქვან როგორც შეშვენის კეთილშობილ პირთ, (!!!) სთქვან აქ, ამ კრებაში, ვინ ეკიდებოდა საზოგადო საქმეს ერთგულად და ვინ აგდებულად?

საზოგადოება. სთქვით, სთქვით ივანე ჯაიანი, როცა კრებები დრო მოაწევს ყოველთვის დამუნჯდება და რასაკვირველია ახლაც არ იღებს კრინტს, მისთვის სულ ერთია გინდა კეთილშობილი დაუძახე გინდა... რაც გინდა!!

მაგრამ წამოდგება მეორე დირ

ქტორი გამდელი პირმთვარისა ნ. ერისთავი და დაიწყებს ლუღლუღს.

— ბატონებო, მე ყოველთვის პირდაპირ და კეთილშობილურად ვსჯი და პატიოსნებასაც არას დროს გადვუდგები... მაგრამ... მაგრამ.. ახლა რა დროს პატიოსნურათ ლაპარაკის დროა... მახლას!!!

მასხრობაა მაშ რა არის ეს!

ოპოზიცია. თქვენ რატომ კონვერსია არ მოახდინეთ აქამდის? თუ ვერ გაიგეთ, რომ როდესაც ფულს უფრო იაფად გასცემთ, მეტ მსესხებელს იშოვით და მოგებაც მეტი დარჩება?

ვარდისა ხარ—წიკვაძე... მაგრამ რავა ვერ გავიგებდით, მაგრამ თქვენ, ოპოზიციამ, არ გვაცალეთ იმდენი მიჩუჩხურეთ, იმდენი მიჩუჩხურეთ, რომ მე თქვენ წინააღმდეგ კენჭების ძებნას მოუნდი... მერე სუდშიც მაქვს საქმეები და ქე მიმრჩა ზე მაგ კონვერსია!

ოპოზიცია. ბ. ჩიკვაიძე ვსთქვათ მარტო ნახევარი საათით შეითხლიშინებდა ბანკში და რასანვირველია, ვერაფერს გააკეთებდა, მაგრამ თქვენ ბ. ბ. დირექტორებო, როგორც გამოგეპარათ კონვერსი..?

*** პირ-მთავრის ნ. ერისთავი. დასწყევლოს ღმერთმა.. დილას ადრე ვდგები. ჩაის დავლევ წამოვალ ბანკში, მაგრამ რადგან შორს ვდგავარ 11 საათზე მოვჩანჩალდები... გაზეთებს წავიკითხავ, ერთ ორ ანეკდოტს ვიტყვი, ბესარიონს მოულინებ, ილარიონს გავაკრიჭებ და ქე შეიქნება 2 საათი.. წამოვალ სახლში,, კვაწია ლომს შევჭამ, დივიძინებ ნასადილევს—და დღე ქე შემომელევა. როდის უნდა გამეკეთებია კონვერსია?! ოპოზიცია თვალებ დაჭყეტილი შესჩერებია ი. ჯაიანს იქნება ამან მაინც თქვას რაიმეო, მაგრამ მუნჯი მუნჯათ რჩება.

ვარდისახარ წიკვაძე. ამის მაგიერ მე მოგახსენებთ, ბატონებო, ივანე კაი ბიჭია, მაგრამ... მაგრამ... არ ასე ამგვარათ მასხრობს ქუთაისის ბანკის გამგეობა თვით ბანკის საგნებზე და თავად-აზნაურობაზე.

ოპოზიცია. დარჩენილ მამულებზე რომ ამდენი ზარალი გვაქვს, ეს რატომ არ გამოიკვლიეთ, რატომ კარგათ არ უვლით. რომ ასეთი მცირე შემოსავალი მოაქვთ?

დარჩენილ მამულების მმართველი პ. ჩხეიძე მამულები მე მაბარია, მე სხვას ვაბარებ, ეს სხვაგან ამარებს და ქე რალა დარჩება?!.

აი! ასე და ამ გვარათ კამათობენ ბანკის წარმომადგენელნი წრევანდელ კრებაში!! მახლას! მახლას!

დ. ვერიცანიძე

*** **ს. ფონა** (ზემო იმერეთი, ივე ქოჩორა) მიწის სივიწროვე და შეწუხება. აქაური ხალხის სიღარიბე, წინადაც მქონდა პატივცემულ გაზ. „ცნობის ფურცელში“ მოხსენებული. ხოლო როგორც მაშინ, ისე ახლაც ვიტყვი, რომ ეს სიღარიბე არ წარმოსდგება ამ ხალხისავე სიზარმაცით. პირიქით ეს ხალხი მეტად გამრჯე და ჯანღონით ქონების შემძენელია, მაგრამ რა ჰქნას ჯანჯონით ნაშოვარმა, თუ კი დაბეჩავებული და დაბნელებული გონება ვერ მოუვლის და საყვავ-ყორნედ გახდის. (ამათ ცრუმორწმუნეობაზე ახლა არა და შემდეგ კი ვრცლად ვილაპარაკებ). ამ ხალხის ბეჩაობა სწორედ საანდაზოდ არის გამხდარი. ამიტომ ბევრმაც აიღო ამათი ბეჩავობის ხუნი. ვინ მოსთვლის რამდენმა სხვა და სხვა ჯურის ხალხმა არ შეიძინა აქ თითო-ოროლა ნაჭერი ადგილი, იმ განზრახვით, რომ აქ ობობასავით ქსელი დაეგო, შიგ გლეხები გაება და ნელანელა სისხლი ეწუწნა. დღეს თუმცა სადაც გაიხედავთ, გაიძახიან: ბატონყმობა მოისპოვო. აქაურებისათვის კი ეს სიტყვა, მხოლოდ ცარიელი სიტყვაა. აქ ბატონი ის არის, ვისაც ადგილი აქვს, ყმა კი ვისაც ადგილი არა აქვს და უადგილოდ კი ვერა სძლებს. მართალია, აქაურ გლეხებს სახელმწიფო ადგილი აქვთ მიცემული, მაგრამ ისე ცოტა, რომ... როგორც იტყვიან: ძაღლი რომ დამარხონ, კუდი სხვის ადგილში დარჩება. მიუხედავად ასეთი სივიწროვისა, აქაურები მაინც საქმეს იჭირვებენ და სცდილობენ, ფეხი არ გადასდგან „შემოსეულების“ მიწებში, რადგანაც იციან, კარგი დღე არ დაადგებათ, მაგრამ თუ ეს პვირველები ახერხებენ მორიდებას მეორეებს სულ არ ეძნელებათ, გლეხების მიგნება და აწიოკება.

— მავნებელი კაცი. სხვას რომ თავი დავანებოთ, სხვათა შორის დიდ ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ერთმა „პოდრაჩიკმა“ გაიჩინა აქ საჩხიკინო ასპარეზი. მას შემდეგ ეს დალოცვილიშვილი ისე არ გაუვლის გვერდს გლეხებს, რომ ჯერ კაი-კაი ზურგიელები არ აქმოს (თევზის ჭმევა არ გეგონოთ) და მერე არ გაცარცვოს. ამას წინად პირველ ალიას ხვნა-თესვაზე სამს გლეხს სახელმწიფო მიწაზე მიუხდა, გაცარცვა და ამ ნაირად უხნავ-უთესი დაყარა გლეხები. ამ წარსულ დღეებში ესევე „პოდრაჩიკი“ მიუხდა გლეხებს, წაართვა ხარები, კამეჩები და სხვ. ხოლო ერთ გლეხს, ვანო საბიაშვილს, რევოლვერით გამოუდგა მოსაკლავად, მაგრამ ბედად სხვები ჩაეშველნენ. ამავე დღეს აატირ-აბღავლა და გაძარცვა ერთი საცოდავი საპყარი გლეხი „ცალხელა გაბო“. ამას გარდა ამავე „პოდრაჩიკმა“ აქაურებს დაურღვია მამა-პაპეული ხიდი ეკკლესიის გზაზე და ამნაირად შეავიწროვა მკვიდრნი.

თურმე ამ დალოცვილ „პოდრაჩიკს“ ამნაირად გლეხების შეწუხების მიზეზად დაუსახელებია, რომ ეს ხალხი ძალიან გაუთლელია, წინააღმდეგობას მიწევს, ამიტომ მსურს ჭკუა ვასწავლო, დავასჯო და „ნაკაზანია“ მოვახდევინოვო. საკვირველია ღმერთმან იცის, თუ მართლა ეს ხალხი წინააღმდეგია, ბ. „პოდრაჩიკს“ ხომ ადვილად შეუძლიან მიმართოს სასამართლოს, სადაც ძალიან კარგად გამოიკვლევა: თხა არის დამნაშავე მგელთან, თუ მგელი თხასთან“... მაგრამ რადგან ბ-ნი „პოდრაჩიკი“ სინათლეს ერიდება, ამიტომ ის ურჩევნია, რომ სიბნელეში ამოქმედოს თავისი „ნაკაზანია“. სცემოს, ტყეპოს ბეჩავი გლეხები და თანაც ცარცვოს-გლიჯოს. ახლა როგორც გავიგეთ, თვითონ გლეხებს შეუტანიათ საჩივარი ამ თავიანთ სატკივარზე და იმედია, ყურადღებას მიაქცევს ვისიც რიგია.

ამ დღეებში აქ ჩამოვიდა წინანდელ ბოქაულის მოადგილედ ნამყოფი პატივცემული ბოქაული ბ. დვალი, რომელიც იმედია, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ადგილობრივ ზემოხსენებულ საქმეს და გლეხებს დაიცავს უსამართლო მოძალადეთაგან.

სან-ნარი

*** **ს. კახათი** (სამეგრელო). დეპუტატები. უმაღლესი მთავრობის განკარგულებით აქ ამოირჩიეს საზოგადოებამ თავისი წრიდგან რამოდენიმე პირი „დეპუტატის“ სახელით, რომელთაც თავისი თანამდებობაზე მიფიცვის შემდეგ მიენიჭათ შემდეგი უფლებანი: თუ ვინიცობაა დაიკარგა რამე იმ შემთხვევაში ჰქმნან მსჯელობა ქურდზე და ვისაც ისინი იცნობენ დამნაშავედ და რა სასჯელსა ინებებენ იმისი თანახმანი ხდება მთელი საზოგადოება. ამას წინად მათ ჰქონდათ მსჯელობა თუ რა სასჯელი მიუსაჯონ ბრალდებულთ, დიდი ფიქრის შემდეგ გადაუწყვეტიათ მათი გადასახლება და ესრეთი გამოუცხადეს ხალხს. ხალხმა ჯერ შეჩერდა და პასუხი ვერ გასცა, მაგრამ უცბად დაიგრიალა „ქო, ქო“ თანახმანი ვართ. მაშინ ერთი მათგანი მიუბრუნდა მათ: „აი ძმებო თქვენ კი ასე ადვილად ნუ მიგვებთ პასუხს, ეს საქმე ძრიელ გასაჭვრეტ-გამოსაჭვრეტიაო და ცოტა დაფიქრება გასჭირდაო“. ამის თქმაზე მამასახლისმა კრება გადასდო მეორე დღეზე. იმ მშვენიერ დღეს სრულიად გატყდნენ ხსენებული ბაცაცები თავიანთ დანაშაულზედ და სთხოვეს ამ პირველ ჩადენილ ცუდ საქმეში მიტევება, ხოლო შემდეგში კი გასწორდნენ ამისი წერილობითი პირობა დასდვეს. დეპუტატებმა შეიწყნარეს მათი თხოვნა და განათავისუფლეს ისინი. რას უნდა მიეწეროს ეგრეთი საქციელი დეპუტატთა თუ არ უმეცრებას. თუ დღეს ცხვრის და ხარის ქურთა გაანთავისუფლეს (მათ ესრეთი ქურდობა ბრალდებოდათ) ხვალ ცხენის და თხის ქურდიც მოელის ამნაირივე შვებასა და ასე ამნაირად გამხნევებული ქარაშოტალამის რაინდები ერთი ორად იმოქმედებენ და მით შეარყევენ აქამდის დაცულ მყუდროებას—რის გამო ურიგო არ იქნება მიექცეს ყურადღება მაგგვარი შეცდომეებს ვისგან ჯერ იყოს.

კალანდარა.

# სამეცნიერო ცნობა

ნაკიანი წელიწადი. შემდეგი ნაკიანი წელიწადი [illegible] კი არ იქნება, არამედ 1904 წელს ესე იგი ხუთის წლის შემდეგ. ამის მიზეზი შემდეგი გახლავთ: ყოველ ნაკიან წელიწადში თებერვალი 29 დღით არის ხოლმე, ესე იგი ერთის დღით და ცოტათი მეტი. ეს ცოტა მეტი შეადგენს 430 წუთს ოთხ წელიწადში, ხოლო 45 წუთი 400 წლის განმავლობაში შეადგენს 74 საათს და 53 წუთს, ე. ი. სამ დღეს და სწორედ ეს სამი დღე უნდა განაწილდეს 400 წლის განმავლობაში, ამიტომ სრულიად სპობენ ხოლმე ზოგიერთს ნაკიან წელიწადებს, განსაკუთრებით იმათ, რომელნიც ოთხზე არ გაიყოფებიან მაგალითად 1900, 2100, 2200 და მერე სხვა. ხოლო 2000, 2400 უთუოდ ნაკიანი იქნება. რვა წელიწადი ნაკიანსა და ნაკიანს წელს შუა მეტად იშვიათი მოვლენა და ბევრნი ვერც კი მოესწრებიან. მაგალითად შემდეგი ამგვარი შემთხვევა დადგება 200 წლის შემდეგ 2096 და 2104 წლების შუა.

## რჩეული აზრები

◆ სამი სიტყვა არის კონიერი სიფთხილისათვის არ ვიცი, ვეჭვობ, და ვიმედოვნებ.

◆ ყოველივე ქვეყანაზე შედეგია რაიმე მიზეზისა.

◆ თავი უმეცარი იგივეა, რაც ციხე უჯაროდ.

◆ უმიზეზო მეცარი და დარდი დიდის სიხარულის წინასწარია.

◆ კაცი მაშინ-და არის ბედნიერი, როცა იგი სცხოვრობს თანახმად თავის ბუნებისა და გონება შეხედულობისა.

## გასართობი

—

ერთმა ვექილმა უთხრა ერთს მწერალს: შენ არც არას სთესავ და არც არას მკით—და მე კი კიდევაც ვთესავ და კიდეცა ვმკით.

— მართალს ამბობთ! — მიუგო მწერალმა, მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებ, რომ კლიენტებს ციმბირისაკენ სთესავს, მკით კი აქვე ჩვენში მკით.

* * *

ქართლელი წყალში იხრჩობოდა, გამოიყვანეს გაგუდული. რომ დაწრიტეს და მობრუნდა, გადახედა წყლისაკენ და სთქვა:

— ღვინო რომ ყოფილიყავ, ვერ მომერეოდით, მაგრამ წყალი ხარ და რადას გიზამ. („კრებული“).

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

3 ივნისი

**პარიზი.** ყველა გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ პუანკარე არ უარ ჰყოფს თავისს მისსიას. გაზეთების შისამჩნევი უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ პუანკარე თავისი მოქმედებით საგანს მიაღწევსო. ზოგიერთი გაზეთები-კი ამტკიცებენ, პუანკარე ვერაფერს გახდებაო. კონსერვატორები ამბობენ, პუანკარეს დამარცხებას გამოიწვევს რადიკალთა მოთხოვნილება, რომელთაც ჰსურთ თვალ ხაჩინო პორტფელების მიღებაო. „Jurnal“-ი ამტკიცებს, ბურჟუა უარ-ჰყოფს გარეშე საქმეთა სამინისტროს პორტფელსაო, და ნამდვილად დელკასეს შერჩება ეს პორტფელიო.

**პარიზი.** სასამართლოში ირჩევა იმ 8 კაცის საქმე, რომელთაც უწესოება მოახდინეს ოტეილში. საქმის გარჩევას აუარებელი ხალხი ესწრება.

**პარიზი.** პუანკარე დილის 11 საათსა და 15 წ. მივიდა ელისეის სასახლეში და შეატყობინა ლუბეს, ოფიციალურად ვკისრულობ კაბინეტის შედგენასაო. თუმცა ჯერ არაფერი გამოუცხადებიათ პორტფელების განაწილების შესახებ, მაგრამ ხმა დადის, რომ პუანკარეს განზრახვა აქვს თავისთვის სამხედრო სამინისტროს პორტფელი დაიტოვოსო.

**პარიზი.** როგორც ისმის პუანკარეს აზრად აქვს ჩააბაროს რიბოს პორტფელი საერო განათლებისა, სარიენს—შინაგან საქმეთა, მონისს—სასჯულო საქმეთა. როცა პუანკარეს სასახლიდგან გამოსვლის დროს დაეკითხნენ, განაცხადა, იმედი მაქვს ჩემს სურვილს მივახწევ და 6 საათზედ ელისეის სასახლეში დავბრუნდები, რომ ლუბეს მოლაპარაკების ვითარება შევატყობინოო.

უარსა ჰყოფენ ზოგიერთი გაზეთების მიერ გავრცელებულ იმ ხმას, ვითომ კრანცს ზიგფრიდთან ლაპარაკის დროს ეთქვას, რომ საკასაციო სასამართლოს განაჩენმა სრულიად არ შესცვალა ჩემი აზრი დრეიფუსის შესახებ, მე ისევე დარწმუნებული ვარ, რომ დრეიფუსი დამნაშავეაო.

**პარიზი.** სამედიატორო სასამართლო, შემდგარი ინგლისის გვიანის საზღვრების დასადგენად, შეიკრიბა დღეს გარეშე საქმეთა სამინისტროში მარტენსის თავმჯდომარეობით...

**პარიზი.** სასამართლოში თავმჯდომარემ ჩვენება ჩამოართვა დიონს, რომელიც ამტკიცებდა, ნება მქონდა დამეძახნა: „გაუმარჯოს ჯარს!“ და დამენახვებინა ლუბესთვის, რომ ყველანი პირ-ფერობით არ ექცევიან. დიონმა და სხვა ბრალდებულთ განაცხადეს, ოტეილში იმ აზრით არ წავსულვართ‘ რომ მანიფესტაცია მოგვეხდინაო. ჩვენ ჯარის მიმართ პატივისცემას ვაცხადებდით, რისთვისაც პოლიცია სასტიკად და საძაგლად მოგვექცაო.

4 ივნისი

**სტოკჰოლმი.** საერთაშორისო კრება გიდროგრაფიისა და ბიოლოგიისა დაიწყო შინაგან საქმეთა მინისტრის კროზენშტეინის სიტყვით, რომელიც შეკრებილთ მეფის სახელით მიესალმა. სალამის პასუხის თქვეს ინგლისის დელეგატმა მიურეიმ, გერმანიისამ—გერვიგმა და რუსეთისამ—გრიმმა. თავმჯდომარედ ამორჩეულია შვეციის წარმომადგენელი ოკერმანი, ვიცე პრეზიდენტებად—მიურეი, გერვიგი, გრიმი, კაპიტანი დრეკსეი (დანია), პროფესორი ფრიტიოფ ნანსენი (ნორვეგია) და დოქტორი გოკი (ჰოლანდია).

**პარიზი.** პეიტრალმა უარი სთქვა და არ იკისრა ფინანსთა მინისტრის პორტფელი იმ მიზეზით, რომ დასვენება მჭირიაო.

**პარიზი.** 7 საათზედ პუანკარე წავიდა პრეზიდენტ ლუბესთან და აუწყა, რაც გაეკეთებინა მთელის დღის განამავლობაში. მას ენახა სარიენი და რიბო, რიბო დათანახმებულა საერო განათლების მინისტრის თანამდებობის მიღებას. ხვალ პუანკარეს თათბირი ექნება ფალლიერსა და მონისთან.

**ბელგრადი.** როგორც აქ მოსულ ცნობებიდგან სჩანს, სერბიისა და ოსმალეთის საზღვარზედ მრავალ რიცხვოვანი ბრბო, რომელთა შორის ყოფილა 200 კაცი ოსმალეთის ჯარისა, დასცემია სერბიის საზღვარს იაბლონიცკის ოლქს. სერბიელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწევიათ. ბრძოლა მთელს დღეს ყოფილა, ორივე მხარეს რამდენიმე სულია მოკლული და დაჭრილი. ოსმალებს, რიცხვის სიმრავლისა გამო, დაუჭერიათ სერბიელთა სამი სასაზღვრო სადარაჯო და ალყა შემოურტყავთ სერბიის სამის სოფლისათვის. სერბიის მთავრობამ ჯარი გაჰგზავნა და უბრძანა, განფანტოს საზღვარზედ შესულნი და მშვიდობიანობა აღადგინოს.

## თეატრალური ბიბლიოთეკა.

—

შემოწირული წიგნები. ვ. გუნიამ სამი დიდი წიგნი (ჟურნალები) ინგლისურს ენაზე. ლ. ყიფიანმა: ერთი რუსული პიესა „Tété á Tété“.

## რედაქციისაგან

—

**ჩოხატაურში** ხულელს. თქვენი წერილი მატყუარა ექიმისა დასაბეჭდად მოუხერხებელია.

**ამაღლებაში** დ—ძეს. თქვენი წერილის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა.

**ლეხაურში.** ტროსტაძეს. თქვენი წერილი ვერ იბეჭდება.

**მელიქედურში** ლილან უჩანოვს. სჯობია ადგილობრივ ბოქაულს შეატყობინოთ ბანქოს მოთამაშეებზე.

**ტფილისში** გჭაძეს. თქვენი ფულის გამფლანგავის ვინაობა სჯობია სასამართლოს შეატყობინოთ.

**ტფილისში** ნემსაძეს. თქვენი საპასუხო წერილი ვერ იბეჭდება.

**დ. ხოზში** გამოშქურუს. თქვენი წერილი ვერ იბეჭდება, რადგანაც ინტერესს მოკლებულია.

**გორში** ნინოშვილს. წერილი კეთილი მოძღვრის შესახებ ვერ იბეჭდება.

**ნიგოითში** გლეხს. თქვენი წერილი მოურავებსა და მეველეებზე დასაბეჭდად მოუხერხებელია.

**ოზურგეთში** ბალის უბნელს. საგანი საკმაოდ გამოირკვა და არცა ღირს მეტი ლაპარაკი.

**ჭევაში** ნ. გ—ჩ—ძეს. თქვენი წერილი ვერ იბეჭდება.


## განცხადებანი

სამკურნალო და სასარგებლო დასალევი




**ქეფირი და კუმისი**




ერთად ერთი ქარხანა, რომელიც არსებობს 1887 წ.

მოწონებული სამკურნალო უწყებისაგან და მენდლით დაჯილდოვებული ორს გამოფენაზე.

იყიდება მხოლოდ თ. კოროტნასთან ლორის-მელიქოვის ქუჩაზე ზუბალოვის სახლებში აფიცერთა საეკონომიო საზოგადოების წევრთათვის და მოწაფეთათვის, ფასი დაკლებულია.

(100—28) თ. კოროტნა.

# КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойгой итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности,

2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),

3) **Ариѳметики на счетахъ.**

4) **Коммерческой экономіи,**

5) **Торговыхъ и вексельныхъ** узаконеній.

преподаетъ **И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебныхъ заведеній**

Плата за весь курсъ 60 руб.

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій — 1-е число каждаго мѣсяца.

**За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VП отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ, 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71.**

(100—30)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Юня 1899 г. სტ. „ცნ. ფურც.“) ვ. ბუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი 3. გურ...